

წმ. მამების ხსენების დღის ქადაგება
15 დეკემბერი 2019წ.

შობა ახლოვდება! ყველს ქრისტიანის გული მიმართულია ბეთლემისაკენ, ყველს მაცხოვართან შესახვედრად ელოდება „ქრისტე ზეციდან მოდის, მივკეგებოთ მას“, როგორც გვიხმობს ჩვენ ეკლესია თავის სადღესასწაულო გალობებში. ამავე დროს ეკლესია აღნიშნავს და დღესასწაულობს უფლის წმ. მამების ხსენების დღეს, დაწყებული მართალი აბრაამიდან ღვთისმშობელმარიამამდე, რომლისგანაც იშვა უფალი იესო ქრისტე. ღვთის წმ. წინაპარი მამები, როგორცაა ისააკი, რომელიც მსხერპლად უნდა შეწირულიყო, საბოლოოდ მოსე, დანიელწინასწარმეტყველო ლომებს შორის, ანსამი წმინდანი გახურებულ ლუმელში, ცხოვრობდნენ, ყოველთვის ემორჩილებოდნენ ღვთის ნებას და მყარად სწამდათ მისი დაპირება.

რომ აღვიქვათ მათი რწმენის სიღრმე და ღვთისადმი მორჩილება, უბრალოდ შეიძლება შევადაროთ ის რწმენას, რომელსაც ვხვდებით დღევანდელ დღეს. რამდენი თანამედროვე ქრისტიანი ავლენს რწმენაში სისუსტეს, რომელიც სრულიად ქრება პირველვე განსაცდელის დროს ან სერიოზულ სიძნელეებისას? როდესაც მოდის განსაცდელი, ან ავადმყოფობა, ან დიდი უსამართლობა, გაისმის შეძახილი: „სადაა ღმერთი?“ როდესაც ადამიანი საყვარელი ახლობლის დაკარგვის ტკივილს განიცდის, ჩვენ გვეხმობს როგორ ვითხულობს ის: „რატომ დამემართა ვმე ეს საშინელება, სადაა უფლის სიყვარული, სადაა მისი სამართალი?“

ასეთი რამ ხდება დღეს, თუმცა ყველს ვიცით, რომ ღმერთმა ისე შეიყვარა კაცობრიობა, რომ თავისი ერთადერთი შვილი შესწირა ჩვენს გამოსხნას (იხ. იოანე 3:16). ქრისტიანები კარგავენ რწმენას, მაშინაც კი როდესაც ვითხულობენ სახარებას, სადაც აღწერილია ის აურაცხელი მადლი, რომელსაც ქრისტე აძლევდა ავადმყოფებს, მშვირებს და უსამართლობისგან დაჩაგრულებს. როგორ შეიძლება არსებობდეს ასეთი ურწმუნობა, როცა გვეხმობს იმ აურაცხელი სასწაულებების შესახებ, რომელსაც უფალი აღასრულებს, რომ შეგვიძინებ უქოს ტკივილი, ღვთისმშობელი მარიამისა და წმინდანების მფარველობით?!

მოდი თვინახოთ პირველი წინაპარი აბრაამის მაგალითი. ის ურწმუნოთა შორის ცხოვრობდა, მაგრამ სულით სუფთა იყო და ჭეშმარიტ ღმერთს ეძიებდა. რომელიღაცა დროს მას ესმა, თუ როგორ უთხრა ღვთის ხმამ: „აბრაამ (მისი პირველი სახელი), წადი შენი მიწიდან, შენი მამისა და შენი ნათესავების სახლიდან, მიწაზე, რომელსაც მე გიჩვენებ შენ“ (დაბადება 12:1). ვი მარა ეს ადვილი იყო? აბრაამს მოუწია დაეტოვებინა თავისი არჩეული მდგომარეობა: ყველს ფერი, რაც იცოდა, ყველს ფერი რაც უყვარდა - და გამგზავრებულყო უცხო ქვეყანაში, სადაც არც კი იცოდა თუ რა ელოდა. და მაინც,

რადგან ეს იყო ღვთის ბრძანება, მან დატოვა თავისი სახლი, ახლობლები, ათენებდა გზაში, სადაც მოუხერხებოდა, მაგრამ შეასრულა ის, რაც ჰქონდა ნაბრძანები.

როგორი რწმენის ძალა გამოავლინა აბრაამმა. როდესაც მას 39 წელი შეუსრულდა მან ირწმუნა ღვთის სიტყვა, რომ ეყოლებოდა ვაჟი და რომ მისი შთამომავლობა იქნებოდა ურიცხვი, როგორც ცაში ვარსკვლავები (დაბადება 15:5)! მას სჯეროდა და 100 წლის ასაკში მას ეყოლს შვილი ისააკი! მოგვიანებით როდესაც ღმერთმა უბრძანა შეეწირა მსხვერპლად ისააკი, რომელიც ასე უნდოდა რომ ჰყოლოდა, და რომელიც მისი ერთადერთი შვილი იყო, მან მოამზადა ყველფერი რათა შეესრულებინა ეს მსხვერპლწეწირვა (დაბადება 22:1-13). ამ უდიდესი მორჩილების გამო ღმერთმა მომადლუა აბრაამს უდიდესი პატივი და აღუთქვა, რომ მისი რჩეული შთამომავლობიდან - მესიას - მთელი ქვეყნიერება მიიღებდა ღვთის კურთხევას (იხ. დაბადება 22:18).

როგორც ყოველთვის, აბრაამმა ირწმუნა ღვთის სიტყვა და ეს დაპირება ასრულდა უფრო იქნა. ორმოცდაორი თაობა წარმოიშვა აბრაამის შთამომავლობიდან ნაზარეთელი ღვთისმშობელი მარიამამდე. გასაგები რომ იყოს წმ. წინაპარი მამების ისტორია, წმ. მათე მახარებელი თავის სახარებას იწყებს ქრისტეს მემკვიდრეობის აღწერას აბრაამიდან ღვთისმშობელი მარიამამდე, რომლისგანაც იესო ქრისტე იშვა (იხ. მათე 1:1-10). ეს ყველს ჩვენგანისთვისაა და წერილი, რათა შეგვეძლოს დავინახოთ და ვრწმუნდეთ იმაში, რომ ღმერთი ყოველთვის ასრულებს თავის დანაპირებს, თუნდაც ამას დრო დასჭირდეს.

დღეს წმ. მამების ხსენების დღეს ვდღესასწაულობთ ეკლესია განსაკუთრებით ნახს უსვამს ღმერთის სიმტკიცეს დანაპირების ასრულებაში. თუმცა ზოგიერთი ღვთის დაპირება უჩვეულო და მიუღწეველი შეიძლება მოგვეჩვენოს ადამიანის გონებისათვის, ისინი ყოველთვის სრულდება. „რამეთუ არა შეუძლებელ არს წინაშე ღმერთისა ყოველი სიტყვა“ (ლუკა 1:37) - და ირწმუნა გაბრიელმა თავარანგელოზმა წმ. მარიამ ქალწული, როდესაც ამცნო მას სასინარულო ამბავი, რომ სული წმინდის ძალთის განდება ღვთის შვილის დედა. ეს განსაკუთრებული მოვლენაა მთელს ისტორიაში!

ჩემო ძმებო და დებო, თუ აბრაამი და მისი შთამომავლები, იქამდე მცხოვრებნი, როცა ქრისტე მხსნელმა ამცნო მსოფლიოს სახარება, მორჩილებაში ცხოვრობდნენ, ემორჩილებოდნენ ღვთის ნებას, როგორ შეიძლება რომ მონათლულმართლმადიდებელ ქრისტიანს ეჭვი შეეპაროს? მათმა მსხვერპლმა და რწმენის ერთგულებამ ჭეშმარიტი ღვთის მიმართ უნდა შთაგვაგონოს ჩვენ მივიღოთ უფლის ნება ჩვენს ცხოვრებაში. ყოველი ღვთისმსახურების დროს ჩვენ ვაცხადებთ: „ჩვენ დავინახეთ ჭეშმარიტი სინათლე; მივიღეთ ზეციური სული“, რომელიც გვანათლებს და გვამტკიცებს

ყოველდღიურ ბრძოლებში ჩვენ „მივიღეთ ჭეშმარიტი რწმენა“ -
მართლმადიდებელი სამოციქულო რწმენა!

მოდით შევხვდეთ და ავღნიშნოთ ქრისტეს შობა სიყვარულთ
და რწმენით აღსავსე მხურვალე გულებით მტკიცე
გადაწყვეტილებით ვიცხოვროთ მისი ნებით და მაშინ ჩვენ
შევძლებთ ღოცვით ველოდოთ ცათა სასუფეველს კურთხეულ
დაპირებას.

ამინ!